
მომხმარებლის სახელმძღვანელო

ტელევიზორის საკიდი
DK-55TS

DEXP

ტელევიზორის საკიდი
DEXP DK-55TS




ძვირფასო მომხმარებელო!


მადლობას გიხდით ჩვენი პროდუქციის არჩევისთვის. სიამოვნებით შემოგთავაზებთ ნაწარმსა და მოწყობილობებს, რომლებიც შემუშავებული და დამზადებულია ხარისხის, ფუნქციონალურობისა და დიზაინის მაღალი მოთხოვნების შესაბამისად. ექსპლუატაციის დაწყებამდე ყურადღებით წაიკითხეთ წინამდებარე სახელმძღვანელო, რომელიც შეიცავს თქვენი უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, ასევე რეკომენდაციებს პროდუქტის სწორად გამოყენებისა და მოვლის შესახებ. იბრუნეთ წინამდებარე სახელმძღვანელოს შენარჩუნებაზე და გამოიყენეთ იგი, როგორც საცნობარო მასალა ნაწარმის შემდგომი ექსპლუატაციისას.

უსაფრთხოების ზომები

- არ გადააჭარბოთ მოწყობილობის მაქსიმალური დატვირთვის მნიშვნელობას, რათა თავიდან აიცილოთ ტრავმები და თავად მოწყობილობის დაზიანება.
- საყრდენები უნდა დამონტაჟდეს ისე, როგორც ეს ნაჩვენებია მონტაჟის ინსტრუქციებში. არასწორმა დამონტაჟებამ შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული ტრავმები და მოწყობილობის დაზიანება.
- ნაწარმი განკუთვნილია დასამონტაჟებლად ხის კარკასულ კედლებზე, მყარ ცემენტის ან აგურის კედლებზე.
- დამონტაჟებამდე დარწმუნდით, რომ კედლის საყრდენი ზედაპირი გაუძლებს დამონტაჟებული აღჭურვილობისა და კომპლექტაციის მთლიან წონას.
- გამოიყენეთ მხოლოდ კომპლექტში შემავალი სამონტაჟო ხრახნები.
- დამონტაჟებისას არ გადააჭარბოთ ხრახნების მოჭერას.
- მიწოდების კომპლექტში შედის მცირე ზომის დეტალები, რომლებიც ყლაპვის შემთხვევაში სუნთქვის გაძნელების საფრთხეს წარმოადგენს. ასეთი დეტალები ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას შეინახეთ.
- წინამდებარე ნაწარმი განკუთვნილია მხოლოდ შენობის შიგნით გამოსაყენებლად. მისმა შენობის გარეთ გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს მოწყობილობის დაზიანება და ტრავმების მიღება.
- დამონტაჟებამდე დარწმუნდით, რომ მიღებული გაქვთ ყველა დეტალი კომპლექტაციის სიის შესაბამისად. თუ რომელიმე დეტალი აკლია ან დაზიანებულია, დაუკავშირდით ავტორიზებულ გამყიდველს.
- საჭიროა რეგულარულად შეამოწმოთ (სულ მცირე, სამ თვეში ერთხელ), რომ საკიდი იყოს დაფიქსირებული და მისი გამოყენება იყოს უსაფრთხო.



A(x1)



M4x14 (x4)
M-A

M5x14 (x4)
M-B

M6x14 (x4)
M-C

M8x20 (x4)
M-D

J (x4)

K (x4)



D5
M-E (x4)

D8
M-F (x4)

M-G (x1)

L (x4)




ST6.3x55 (x4)
W-A


ø10x50
W-B (x4)

D6
W-C (x4)

1a










1b









2



3



3



ტექნიკური მახასიათებლები

მოდელი: DK-55TS.
სავაჭრო ნიშანი: DEXP.
მაქსიმალური დატვირთვა: 30 კგ.
დამაგრების ზომების სტანდარტი (VESA):
75x75, 100x100, 200x100, 200x200, 300x300, 400x400.
ეკრანის მინიმალური დიაგონალი: 13''.
ეკრანის მაქსიმალური დიაგონალი: 55''.
კომპლექტაცია: ნაწარმი, სამაგრების ნაკრები, მომხმარებლის სახელმძღვანელო.

მონტაჟის, შენახვის, გადაზიდვის (ტრანსპორტირების), რეალიზაციისა და უტილიზაციის წესები და პირობები

მოწყობილობის შენახვა და გადაზიდვა უნდა განხორციელდეს მშრალ ადგილებში. ნაწარმის რეალიზაცია და უტილიზაცია უნდა განხორციელდეს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად.

საგარანტიო ვალდებულებები

მწარმოებელი უზრუნველყოფს მოწყობილობის შეუფერხებელ მუშაობას მთელი საგარანტიო ვადის განმავლობაში, ასევე მასალებსა და აწყობაში დეფექტების არარსებობას. საგარანტიო პერიოდი აითვლება ნაწარმის შეძენის მომენტიდან და ვრცელდება მხოლოდ ახალ პროდუქტებზე. საგარანტიო მომსახურება მოიცავს იმ ელემენტების უფასო შეკეთებას ან შეცვლას, რომლებიც მწყობრიდან გამოვიდა მომხმარებლის ბრალის გარეშე საგარანტიო ვადის განმავლობაში, ნაწარმის მომხმარებლის სახელმძღვანელოს შესაბამისად ექსპლუატაციის პირობით. ელემენტების შეკეთება ან შეცვლა ხორციელდება უფლებამოსილი სერვისცენტრების ტერიტორიაზე.

საგარანტიო ვადა: 84 თვე.
ექსპლუატაციის ვადა: 84 თვე.

დამატებითი ინფორმაცია

მწარმოებელი: ნინბო ჩუნციუი ხარდვეა პროდაკშნ კო., ლტდ.
№9, სამხრეთი შოსე მინგუანი, სამრეწველო ზონა მაოშანი, ცზიანშანი, ინჩუოუს რაიონი, ქ. ნინბო, ჯეჯიანის პროვ., ჩინეთი.

დამზადებულია ჩინეთში.

იმპორტიორი:
შპს არგო ელექტრონიქს
ს/კ 405791674
საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N 47, სადარბაზო 1, 1-2 სართული
ელექტრონული ფოსტის მისამართი: info@dns-shop.ge

სპეციფიკაციები, პროდუქტის შესახებ ინფორმაცია, მისი კომპლექტაცია და ფუნქციონალი შეიძლება შეიცვალოს მომხმარებლისთვის წინასწარი შეტყობინების გარეშე.

საქონელი დამზადებულია (თვ.წწწწ): _____ v.9

შენიშვნებისთვის

